მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური სერვისების შესახებ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინფორმირებულობის კამპანია

მარნეულის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF MARNEULI

WWW.MARNEULI.GOV.GE

„მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური სერვისების შესახებ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინფორმირებულობის კამპანია''

პროექტი ხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით. "საქართველოში ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება" საგრანტო კომპონენტის ფარგლებში.

„მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური სერვისების შესახებ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინფორმირებულობის კამპანია'' ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტეგრაციას, მუნიციპალური სერვისების შესახებ მეტ ინფორმირებულობას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აღნიშნული მიმართულებით ყოველწლიურად არაერთი მნიშვნელოვანი საჭიროების მოგვარება და ახალი სერვისების დანერგვა ხდება. ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართათვის წლების განმავლობაში იზრდება ფულადი სოციალური დახმარება. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 3 000 000 (სამი მილიონი) ლარზე მეტს შეადგენს. ბიუჯეტი მოიცავს სხვადასხვა სოციალურ სერვისებს, რომლის საფუძველზეც ხდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების (ბენეფიციარების) დახმარება. ესენია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური სერვისები; სერვისები საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომართა ოჯახებისათვის; სტუდენტებისთვის; ვეტერანებისთვის; ხანდაზმულებისთვის; დედ-მამით ობოლ ან/და მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის; მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის; სოციალური ქულებით შეფასებული მოქალაქეებისთვის, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ბაზაზე არსებობს სოციალური და ჯანდაცვის საკითხების განმხილველი საბჭო, რომელიც განიხილავს მოქალაქეების მომართვიანობის საფუძველზე გამონაკლის და სპეციფიკურ სოციალურ საკითხებს. მერიაში ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების მოგვარებაზე. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური აქტიურად მუშაობს კომპეტენციის ფარგლებში, აწარმოებს კვარტალურ აღრიცხვას, აახლებს ბაზებს რათა უზრუნველყოფილი იყოს ადაპტირებული გარემოს შექმნა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მუნიციპალური რესურსების გაზრდა და სერვისების ხელმისაწვდომობა. მერიის მიერ დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში სრულად გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებები. მუნიციპალიტეტი აქტიურად მხარს უჭერს მარნეულში პარა სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას. თანამშრომლობს ადგილობრივ და ცენტრალურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სოციალური დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე მუშაობენ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახური წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მარნეულის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებშია: ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია; ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების მართვა; სოციალური დაცვის და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება; მოქალაქეების სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა; სოციალური დაცვის მუნიციპალურ დაწესებულებათა მართვა; მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუნიციპალური სერვისები

მარნეულში არსებული სოციალური სერვისები ხელმისაწვდომია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ნებისმიერი მოქალაქისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური სერვისები

- არასრულწლოვანი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარს ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევა, წლის განმავლობაში - 200 ლარის ოდენობით;
- ომისა და სამხედრო ძალების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადი დახმარება გაეწევა - 300 ლარის ოდენობით;
- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით;
- გონებრივი განვითარების შეფერხების ან გონებრივი განვითარების დაყოვნების (ამ პუნქტში იგულისხმება: ICD – 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები F84; F78; R62) მქონე, 0-13 წლამდე პირს რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით.

მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

- მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 18 წლამდე ასაკის უსინათლო ბენეფიციარებს, ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა – 130 ლარის ოდენობით;
- მხედველობის მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს, ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა – 100 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს, ერთჯერადი ფულადი დახმარება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით გაეწევა - 100 ლარის ოდენობით.

ყრუ-მუნჯი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ყრუ-მუნჯ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს, ერთჯერადი ფულადი დახმარება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით გაეწევა - 100 ლარის ოდენობით;
- ყრუ-მუნჯ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა – 100 ლარის ოდენობით;

დიალეზზე მყოფი პირები

- დიალეზზე მყოფ ბენეფიციარებს, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, ქ. მარნეულის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მუნიციპალური სოციალური სერვისები ყველა მიზნობრივი ჯგუფისთვის მათ შორის შშმ პირებისთვის

სერვისები სოციალური ქულებით შეფასებული ბენეფიციარებისთვის

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით. ასევე, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, მკურნალობის ან/და გამოკვლევის (გარდა 18 წლიდან ზემოთ ასაკის პირებისათვის ფიზიოთერაპიის და მასაჟისა) დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.
- კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად 0-დან-120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ პირს, ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარების შემდეგ, აუნაზღაურდება მხოლოდ 200 ლარი და

მეტი ოდენობის დარჩენილი თანხის არსებობისას დასაფარი თანხის 80%, არაუმეტეს 2000 ლარისა;

- 0-დან 15 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევა - 400 ლარის ოდენობის თანხით.
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი რაოდენობის არასრულწლოვანი შვილი, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით.

გულის ოპერაცია

- გულის ოპერაციის დაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად დახმარება გაეწევა, დარჩენილი თანხის არსებობისას დასაფარავი თანხის 80%, არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით.

ხანდაზმული პირი

- ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმულს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევა- 400 ლარის ოდენობით.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები

- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად - 300 ლარის ოდენობით.
- სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი რაოდენობის არასრულწლოვანი შვილი, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით.
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, კალენდარული წლის მაისის თვეში, (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადი საჩუქრის სახით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით დახმარება გაეწევათ 250 ლარის ოდენობით.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000-მდე, მედიკამენტების შეძენისა ან/და მკურნალობის დაფინანსების მიზნით კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით. ასევე კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხმობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.

იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.

ასევე, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, მკურნალობის ან/და გამოკვლევის (გარდა 18 წლიდან ზემოთ ასაკის პირებისათვის ფიზიოთერაპიის და მასაჟისა) დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობისა.

- ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით, მისი დაბადებიდან ორი კალენდარული თვის ვადაში განცხადების წარმოდგენისას, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს დახმარება გაეწევა პირველ ბავშვზე 250 ლარის ოდენობით, ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადების შემთხვევაში დახმარება გაიცემა უკვე შეძენილ შვილებზეც და გასაცემი თანხის მოცულობა გაიზრდება თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით (ბავშვების რაოდენობის პროპორციულად – პირველ ბავშვისათვის 250 ლარის და ყოველი მომდევნო შვილის დაბადებისას დაემატოს 200 ლარის ოდენობით). ასევე, ტყუპების შეძენის შემთხვევაში, თითოეულისათვის შესაბამისი (მათი რაოდენობის მიხედვით) თანაბარი ოდენობის თანხა.
- იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი რაოდენობის არასრულწლოვანი შვილი, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით.
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილ ოჯახებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით - 100 ლარის ოდენობით.

დედ-მამით ობოლი ან/და მზრუნველობა მოკლებული ბავშვები

- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით- 200 ლარის ოდენობით.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციარს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 50 ლარის ოდენობით.

მარტოხელა მშობლის სტატუსი მქონე პირი

- 0-დან 100 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა მშობელს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, გაეწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით.

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომართა ოჯახები

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს (იგულისხმება: პირველ რიგში მეუღლე, ასეთის არარსებობისას სრულწლოვანი შვილი (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს), შვილის არარსებობისას მშობელი), კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დახმარება გაეწევათ 100 ლარის ოდენობით, ხოლო კალენდარული წლის

აგვისტოს თვეში (8 აგვისტოსთან დაკავშირებით) 500 ლარის ოდენობით.

- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ომში დაღუპული მეომრების ოჯახს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;

ონკოლოგია

- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირს, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით, ხოლო კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.
- არასრულწლოვანი ასაკის ონკოლოგიურად დაავადებულ ბენეფიციარებს ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ 200 ლარის ოდენობით.

სტუდენტები

- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახებს, საიდანაც ორი ან მეტი შვილი, ასევე, 0-დან 30 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, საიდანაც ერთი სტუდენტი მაინც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევა თითოეულ სტუდენტისათვის 500 ლარის ოდენობით.
- 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ სოციალურად დაუცველ მარჩენალ დაკარგულ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.
- დედით და მამით ობოლ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით.
- იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა ოჯახებს, რომელთა შვილიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შვილებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.
- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელიც სწავლობს საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს ან/და პროფესიულ პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზ-

ნით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.

- პროგრამა ,,სტუდენტების ტრანპორტირების ხარჯით დახმარება'' გულისხმობს უმაღლეს (აკრედიტირებულ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) სტუდენტის ტრანსპორტირების ხარჯით დახმარებას. სტუდენტებს ტრანსპორტირების ხარჯით დახმარება გაეწევათ თვეში 50 ლარის ოდენობით, კალენდარული წლის განმავლობაში 10 თვე (გარდა ივლისის და აგვისტოს თვისა). პროგრამით მოსარგებლე პირები არიან: სოციალურად დაუცველი სტუდენტი (არაუმეტეს 30 000 სარეიტინგო ქულის მქონე); სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი; იძულებით გადაადგილებული პირი - სტუდენტი; მრავალშვილიანი ოჯახიდან სტუდენტი (არანაკლებ 4 შვილი); ოჯახი, სადაც არანაკლებ 3 სტუდენტია; ვეტერანის შვილი სტუდენტი; უდედმამო სტუდენტი. აღნიშნული წესით ვერ ისარგებლებს: ა),,4+1 პროგრამის" ფარგლებში მოსამზადებელი კურსის მსმენელები; ბ) პირველი სასწავლო კურსის, პირველი სემესტრის სტუდენტი.
- ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის'' შესაბამისად, გასული სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების მიხედვით, წარჩინებულ სტუდენტებს (არანაკლებ 95 ქულიანი შეფასება ყველა საგანში), რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, სწავლობენ უმაღლეს (აკრედიტირებულ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამაზე, გადაეცემა ერთჯერადად ფულადი ჯილდო - 1000 ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება - მარნეულის მუნიციპალიტეტი. პროგრამით ვერ ისარგებლებს: ა) ,,4+1 პროგრამის" ფარგლებში მოსამზადებელი კურსის მსმენელი; ბ) პირველი სასწავლო კურსის, პირველი სემესტრის სტუდენტი.

სოციალური და ჯანდაცვის საკითხების განმხილველი საბჭო

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ბაზაზე არსებული სოციალური და ჯანდაცვის საკითხების განმხილველი საბჭო მუშაობს და განიხილავს მოქალაქეების მომართვიანობის საფუძველზე გამონაკლის და სპეციფიკურ სოციალურ საკითხებს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მერიისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს წარმომადგენლები. საბჭო იკრიბება არანაკლებ თვეში 3-ჯერ.

მარნეულის მერიის ბაზაზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭო

2020 წლიდან, მარნეულის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ფუნქციონირებს. საბჭო განსაზღვრავს ისეთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების კულტურულ-შემოქმე-

დებით ღონისძიებებში ჩართვა, განათლებისა და შემეცნებით აქტივობებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა, სოციალური დაცვის უზურუნველყოფა, შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და აგრეთვე, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საბჭო შედგება 10 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: მერის მოადგილე, საკრებულოს და მერიის წარმომადგენლები, აღნიშნული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ პირები, შშმ პირების მშობლები.

უფასო მუნიციპალური ტრანსპორტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პირები, 2022 წლის შემოდგომიდან, უფასოდ სარგებლობენ ადგილობრივი მუნიციპალური ტრანსპორტით. ბენეფიციარს მერიაში მომართვიანობის შემდეგ გადაეცემა სპეციალური (უვადო) სამგზავრო ბარათი, რომლითაც მარნეულის ტერიტორიაზე, მუნიციპალური ტრანპორტით სარგებლობა შეუძ-ლია უფასოდ ნებისმიერ დროს.

მარნეულის სოციალური სერვისების ცენტრი - „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“

ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ მარნეულის მუნიციპალიტეტში დაარსებულ სოციალური რეაბილიტაციის სერვის-ცენტრებში, ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს.

ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მასშტაბით პირველი დაწესებულებაა, სადაც 0-დან 7 წლამდე, 7-დან 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბავშვებს და მათ ოჯახებს ადგილზე სხვადასხვა სერვისებს სთავაზობს.

დღის ცენტრის პროგრამა ემსახურება 6-დან 18 წლამდე და 18-ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბენეფიციარის ფორმალურ განათლებაში ჩართულობასა და სასკოლო პროგრამის ათვისებას. ზრდასრულთა დღის ცენტრის პროგრამის მიზანია, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა, ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო–პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში, სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფენ სპეციალისტები: ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტები, ოკუპაციური თერაპევტები, სპეციალური პედაგოგები, ფიზიკური თერაპევტები.

ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის - ადრეული ინტერვენციის პროცესი მოიცავს დაბადებიდან 3 წლამდე და საჭიროების შემთხვევაში, 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას, მომსახურების დაგეგმვასა და ბუნებრივ გარემოში მიწოდებას. მისი მიზანია იდენტიფიცირებული ბავშვების კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაცი-ური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა, განვითარების შეფერხების პრე-ვენცია, მიტოვების პრევენცია, ასევე, მათი მშობლების განათლება და გაძლიე-

რება ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში. პროგრამის ფარგლებში სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფენ ადრეული განვითარების სპეციალისტები.

მარნეულის სოციალური სერვისების ცენტრი 2023 წლის ოქტომბრიდან ბენეფიციარებს ასევე შესთავაზებს შემდეგ პროგრამებს:

რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, სმენის რეაბილიტაციის კომპლექსური სერვისი (მრავლობითი დარღვევა და კოხლეარული იმპლანტი), ინდივიდუალური თერაპიები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი საზოგადოებასთან“. აღსანიშნავია, რომ დღის ცენტრი ფინანსდება, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

საკონტაქტო ინფორმაცია: ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამა ხორციელდება სოფ. ყიზილაჯლოს #1 საჯარო სკოლის შენობაში. ადრეული განვითარების პროგრამა და ზრდასრულთა დღის ცენტრის პროგრამა ხორციელდება სოფ. ყიზილაჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.

ტელ: +995 591 44 36 75 / +995 591 93 97 49 / ელ. ფოსტა: marneuli@chfs.ge

სოციალური სერვისების მიღებისთვის მუნიციპალიტეტში წარსადგენი საბუთები

მოქალაქემ (ბენეფიციარმა), მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისად უფლებამოსილმა პირმა, დახმარების მიღების მიზნით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა.ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ა.ბ) ბენეფიციარის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
ა.გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
ა.დ)ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;
ბ)ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

შესაბამისი მიმართულებებით დახმარების გაცემის შემთხვევაში, დამატებითი დოკუმენტაციის საჭიროებისას მიმართეთ: მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია: მის: მარნეული, რუსთაველის ქუჩა №73
ტელ: (0357) 22 33 21 / ელფოსტა: municipaliteti@marneuli.gov.ge / www.marneuli.gov.ge

პროექტი ხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, **ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით,**
„საქართველოში ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების გაძლიერება„ საგრანტო კომპონენტის ფარგლებში.

პროექტზე მუშაობდნენ: მაია შუბითიძე
ნინო დეკანოიძე
ირინე მაჭარაშვილი
თამარ კიპაროიძე
დავით ჭიკაძე

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE